



# კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი



**პროფესორი ირმა მანაშვიძე**  
**დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

---




**ასოცირებული პროფესორი კირდარა ნოზაძე**

---



**ასოცირებული პროფესორი დალი ჩიტაიშვილი**

---



**ასისტენტ-პროფესორი ლია ოთიაშვილი**

---



# კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი



ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებისთვის საბაზისო სამედიცინო განათლების კომპეტენციები განისაზღვრა TUNING/MEDINE პროექტის მიერ, რომელიც ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებას, ჰარმონიზაციას და უმაღლესი განათლებისათვის ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას ისახავს მიზნად.

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის No225 (01.06.2011წ.) ბრძანებაში მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შესახებ ([http://www.eqe.ge/res/docs/. medicina.pdf](http://www.eqe.ge/res/docs/.medicina.pdf)) მითითებულია, რომ „დიპლომირებული მედიკოსის ექვსწლიან სასწავლო კურიკულუმში გათვალისწინებული უნდა იქნას 20 ECTS კრედიტი კლინიკური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. ამის მისაღწევად „გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა სირთულის სიმულატორები“. ხოლო „საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისას მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სწავლის პროცესში გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება სიმულატორებზე დამოუკიდებლად, ან მეთვალყურეობის ქვეშ“.

კლინიკური უნარების დეპარტამენტი შეიქმნა 2014 წლის 14 ივლისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს No24/4 და No24/5 გადაწყვეტილების საფუძველზე. 2016 წლის 6 ივლისიდან ამ უკანასკნელს ეწოდება კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი.

კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია ოთხი წევრით: დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ირმა მანჯავიძე, ასოცირებული პროფესორი პირდარა ნობაძე, ასოცირებული პროფესორი დალი ჩიტაიშვილი და ასისტენტ პროფესორი ლიკა ოტიაშვილი.



# კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ძირითადი აქტივობები დაფუძნებულია კლინიკური კომპეტენციების სწავლებაზე, რომელიც განსაზღვრულია 2022 წელს განახლებული მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მასასიათებლის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი. აღნიშნული კომპეტენციები, თავის მხრივ, მედიცინის უმაღლესი განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებს და ჯანდაცვის პროფესიონალთა განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) გაიდლაინებს ეფუძნება.

კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ კლინიკური უნარები სიმულაციურ, უსაფრთხო სასწავლო გარემოში.

ამ საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ ივარჯიშონ სიმულატორებზე და მანეკენებზე, რათა შეიძინონ და გაიუმჯობესონ, როგორც საბაზისო უნარები, ასევე უფრო რთული და კომპლექსური უნარები, რაც მულტიდისციპლინარული გადაუდებელი დახმარებისას არის საჭირო.

კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტს სავალდებულო სასწავლო კურსები აქვს მედიცინის ფაკულტეტის მე-2, მე-4 და მე-6 კურსის სტუდენტებისთვის, რომელიც მთლიანობაში 10 ECT კრედიტს შეადგენს:

- მე-2 კურსის (IV სემესტრი) პროგრამა მოიცავს ბაზისურ კლინიკურ უნარებს (ინექციები, BLS და ა.შ.).
- მე-4 კურსის (VII/VIII სემესტრი) სტუდენტებს აქვთ ორი სასწავლო კურსი: ერთი ინტეგრირებული სილაბუსის „მეანობა და გინეკოლოგია“, ხოლო მეორე ინტეგრირებული სილაბუსის „პედიატრია“ ფარგლებში. კურსები მეანობა-გინეკოლოგიის და პედიატრიის დეპარტამენტებთან თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება და აღნიშნულ ინტეგრირებულ სილაბუსებს ეფუძნება, რაც სასწავლო გეგმის გაუმჯობესებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.
- მე-6 კურსის (XI/XII სემესტრი) პროგრამა არის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის, შინაგან დაავადებათა N3, საოჯახო მედიცინის, კლინიკური ფარმაცოლოგიის და რენტგენოლოგიის დეპარტამენტების ერთობლივი კურსი, რომელიც ინტეგრირებულ სილაბუსს „შინაგან დაავადებათა მართვა“ ემყარება.

დეპარტამენტი სავალდებულო კურსებს სთავაზობს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, საექთნო და ბეზიაქალის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს.

დეპარტამენტს აქვს არჩევითი კურსი “პირველადი დახმარება გადაუდებელი მდგომარეობის დროს” საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

საბოლოო გამოცდა ტარდება OSCE (Objective Structured Clinical Examination-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა -ოსკე) ფორმატში, რომელიც წარმოადგენს ოქროს სტანდარტს კლინიკური კომპეტენციების შეფასებისთვის.

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტში ტარდება მოდული 22-ის (“პაციენტის სუბიექტური და ობიექტური სისტემური გამოკვლევა 4”) OSCE გამოცდა მესამე კურსის VI სემესტრის სტუდენტებისთვის. მოდული მოიცავს კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის, ზოგადი ქირურგიის, პედიატრიის და შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტების ინტეგრირებულ კურსს.

დეპარტამენტში ასევე ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) პირველი კურსის II სემესტრის სტუდენტებისთვის, რომელიც მოიცავს ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის და მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტების ინტეგრირებულ კურსს.

კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი სწავლისა და შეფასების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას და უკუკავშირის ანალიზს.

სტუდენტებთან კომუნიკაციის გასაადვილებლად დეპარტამენტს შექმნილი აქვს საკუთარი ვებ გვერდი, სადაც სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციაა ატვირთული: განრიგი, სილაბუსის მოკლე ვერსია, სასწავლო მასალა, ვიდეო გაკვეთილები, სიახლეები, განცხადებები, OSCE განრიგი და ა.შ. (<http://bit.ly/tsmucsc>)





## კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი

დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობაში და საქართველოსა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით მონაწილეობენ ERASMUS+ პროგრამის საერთაშორისო პროექტებში – „SAFEMED“ და „LIFESTRAND“.

პროექტი „SAFEMED“ მიზნად ისახავს სიმულაციაზე დაფუძნებული სამედიცინო სწავლების დანერგვასა და განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და სტუდენტებში კლინიკური კომპეტენციების ჩამოყალიბებას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება საერთაშორისო კონსორციუმის ფარგლებში, რომელშიც საქართველოსთან ერთად ჩართული არიან ესპანეთის, ლიეტუვის, იტალიის, სომხეთისა და უკრაინის უნივერსიტეტები.

პროექტი „LIFESTRAND“ აერთიანებს საქართველოს, უკრაინის, ესპანეთისა და პორტუგალიის უნივერსიტეტებს და მიზნად ისახავს უნივერსიტეტების პერსონალის, სტუდენტებისა და საზოგადოებისათვის პირველადი დახმარების უნარების სწავლებას, გამოცდილების გაზიარებას და მოწყვლადი მოსახლეობისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების გაძლიერებას, განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონებში.

აღნიშნულ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი კომპონენტია დეპარტამენტის კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაში.

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში და დიპლომისშემდგომ განათლებაში. ისინი ჩართული არიან AMEE-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგ კურსებში. პროფესორი ი. მანჯავიძე არის AMEE-ის ასოცირებული წევრი. მათ გამოქვეყნებული აქვთ მრავალი სამეცნიერო სტატია ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.